

ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2018-2019 წლების კონსოლიდირებული
ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის

სხდომის ოქმი № 2

ქ.თბილისი

1 მარტი, 2018 წელი

ილია ბეგიაშვილი – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის უფროსი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

ლევან რაზმაძე – სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი;

ნოდარ ხადური - სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი თაბუაშვილი - საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ლევან კაკავა - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

რომეო მიქაუტაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი ბუთხუზი - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ვასილ ჯანჯღავა - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, სატენდერო კომისიის წევრი.

სხდომის მდივანი:

ქეთევან ქადაგიძე - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, კონსოლიდირებული ტენდერების სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის 2018-2019 წლების კონსოლიდირებულ ტენდერში (CON170000115) მონაწილე პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების განხილვა და გამარჯვებული პრეტენდენტების გამოვლენა.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ ილია ბეგიაშვილმა სატენდერო კომისიას გააცნო შემდეგი ინფორმაცია:

ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2018-2019 წლების კონსოლიდირებულ ტენდერში (CON170000115) მონაწილეობა მიიღო და სატენდერო წინადადება წარმოადგინა სამმა პრეტენდენტმა: შპს „მაგთიკომმა“, შპს „ჯეოსელმა“ და შპს „ვიონი საქართველო“.

სატენდერო კომისიამ განიხილა კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების - შპს „მაგთიკომის“, შპს „ჯეოსელისა“ და შპს „ვიონი საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები და დაადგინა, რომ ისინი სრულიად შეესაბამება CON170000115 სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ პირობებსა და მოთხოვნებს.

სატენდერო დოკუმენტაციის 3.16 პუნქტის შესაბამისად კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ყველა ის პრეტენდენტი, რომლის სატენდერო წინადადება შესაბამისობაში იქნება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სატენდერო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, შპს „მაგთიკომი“, შპს „ჯეოსელი“ და შპს „ვიონი საქართველო“ გამოვლინდნენ CON170000115 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. სატენდერო დოკუმენტაციის 3.16 პუნქტის შესაბამისად 2018 – 2019 წლების ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებულ ტენდერში (CON170000115) გამარჯვებულ პრეტენდენტებად გამოვლინდნენ - შპს „მაგთიკომი“, შპს „ჯეოსელი“ და შპს „ვიონი საქართველო“;

2. შემსყიდველ ორგანიზაციებს მიეცეთ უფლება, დაიწყონ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების დადების და პორტირების პროცედურები (ასეთის არსებობის

შემთხვევაში) 2018 - 2019 წლების ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000115) ფარგლებში;

3. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

ოქმის რედაქცია შეთანხმებულია კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.